ა(ა)იპ
საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

18.12.2012 №170

თბილისი

ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტთათვის
პრეზიდენტის სტიპენდიის დანიშვნის წესის
განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 5 დეკემბრის №1198 ბრძანების – „პრეზიდენტის სტიპენდიები ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებს“ პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის №159 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“, და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2012 წლის 18 დეკემბრის №839 დადგენილების შესაბამისად სტუ-ს ბაკალავრიატის სტუდენტთათვის აღნიშნული სტიპენდიის დანიშვნის წესის დამტკიცების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. სტუ-ს ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის სტუდენტებს ამ ბრძანებით გათვალისწინებული წესის შესაბამისად დაენიშნოთ პრეზიდენტის 150-ლარიანი სტიპენდია 2012 წლის პირველი ოქტომბრიდან 2013 წლის პირველ იანვრამდე – 3 კალენდარული თვის განმავლობაში;
2. პრეზიდენტის სტიპენდიანტების შერჩევა მოხდეს წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად (იხ.დანართი);
3. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის სამშენებლო, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის, სამთო-გეოლოგიური, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის (გარდა ბიზნესის ორგანიზაციისა და ტრანსპორტის მენეჯმენტის სპეციალობებისა), არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტების და ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ეკონომიკის სპეციალობის იმ სტუდენტს, რომლებსაც 2011–2012 სასწავლო წლის ზაფხულის სესიების შედეგების მიხედვით აქვთ რეიტინგი 91% და მეტი, დაენიშნოთ პრეზიდენტის სტიპენდია ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისი რანჟირებული სიების მიხედვით;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის ყველა სპეციალობის (გარდა ეკონომიკისა) 60 და სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის

ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და ტრანსპორტის მენეჯმენტის სპეციალობის 13 სტუდენტს, რომლებსაც 2011-2012 სასწავლო წლის ზაფხულის სესიების შედეგების საფუძველზე შედგენილი რანჟირებული სიების მიხედვით აქვთ საუკეთესო მოსწრება (არანაკლებ 91%-ისა), დაენიშნოთ პრეზიდენტის სტიპენდია;

5. თუ გათვალისწინებული რომელიმე კრიტერიუმის დაუკმაყოფილებლობის გამო გაუნაწილებელი დარჩა სტიპენდიები, ისინი გადაეცემა მაღალი რეიტინგის მქონე სხვა სტუდენტებს;
6. პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შერჩევისას თანაბარი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა აქტივობები; ასეთ შემთხვევაში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;
7. სტიპენდიანტთა შერჩევის შედეგები გამოიკრას შესაბამის ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე;
8. ფაკულტეტების საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე მომზადდება და გამოიცემა რექტორის ბრძანება პრეზიდენტის სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე;
9. ბრძანება გამოიკრას უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ კორპუსში და ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე;
10. ბრძანებაზე კონტროლი დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე
სასწავლო დარგში *ლ.კლიმიაშვილი*

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი *ი. ლომიძე*

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ქ. ქოქრაშვილი

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი *ბ.მაისურაძე*

დანართი

2012-2013 სასწავლო წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებში სტუ-ს ბაკალავრატის წარჩინებული სტუდენტებისათვის პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შერჩევის წესი.

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 5 დეკემბრის №1198 ბრძანებით სტუ-ს ბაკალავრიატის წარჩინებულ სტუდენტებისთვის 2012 წლის ოქტომბრის, ნოემბრის და დეკემბრის თვეებისათვის გამოყოფილი პრეზიდენტის 295 სტიპენდია ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტებზე პირველ რიგში განაწილდეს პრიორიტეტული სპეციალობების მიხედვით (ყველა საინჟინრო სპეციალობები, აგრეთვე ეკონომიკა);
2. პრეზიდენტის სტიპენდია დაინიშნოს 2011-2012 სასწავლო წლის ზაფხულის სესიების შედეგების მიხედვით;
3. ფაკულტეტებზე, დეკანების ბრძანებით შეიქმნას საკონკურსო კომისიები პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შერჩევის კრიტერიუმების შესამუშავებლად და პრეზიდენტის სტიპენდიანტთა შესარჩევად, რომლებიც იხელმძღვანელებს შემდეგით:

   - პრეზიდენტის სტიპენდია დაენიშნება ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის ბიზნეს–ინჟინერინგის ფაკულტეტის, გარდა ეკონომიკის სპეციალობის, 60 და სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ბიზნესის ორგანიზაციისა და ტრანსპორტის მენეჯმენტის სპეციალობის 13 წარჩინებულ სტუდენტს, რომელთა აკადემიური მოსწრება შეადგენს 91% ზე მეტს რანჟირებული სიების მიხედვით;

   - პრეზიდენტის სტიპენდია დაენიშნება ბაკალავრიატის სწავლების II, III და IV წლის სამშენებლო, ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის, სამთო–გეოლოგიური, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის (გარდა ბიზნეს ორგანიზაციისა და ტრანსპორტის მენეჯმენტის სპეციალობებისა), არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტების ყველა სპეციალობის და ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტის ეკონომიკის სპეციალობის იმ წარჩინებულ სტუდენტებს, რომელთა აკადემიური მოსწრება შეადგენს 91% და მეტს. ფაკულტეტებზე ბაკალავრიატის სტუდენტთა კონტინგენტის პროცენტული წილის შესაბამისი რანჟირებული სიების მიხედვით შემდეგი ოდენობით:

   - სამშენებლო ფაკულტეტი 22 სტიპენდია;
   - ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი – 37 სტიპენდია;
   - სამთო გეოლოგიური ფაკულტეტი 13 სტიპენდია;
   - ქიმიური ტექნოლოგიებისა და მეტალურგიის ფაკულტეტის 23 სტიპენდია;
   - სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი 21 სტიპენდია;
   - არქიტექურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი 11 სტიპენდია;
   - ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი 7 სტიპენდია;
   - ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი 88 სტიპენდია;

   - პრეზიდენტის სტიპენდიის დანიშვნისას ფაკულტეტებზე თანაბარი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში, გათვალისწინებული უნდა იყოს სტუდენტის მონაწილეობა სტუდენტურ კონფერენციებში და სხვა აქტივობები; ასეთ შემთხვევებში საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საკონკურსო კომისია;
4. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიების წარდგინების საფუძველზე გამოიცეს რექტორის ბრძანება პრეზიდენტის სტიპენდიების დანიშვნის თაობაზე.